საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

MES 6 22 0000909739

16/08/2022

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის ს ახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "განათლების მეცნიერებების" ერთობლივ ი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შიდა მობილობის წესით გადამსვლელ პირთათვის ვაკანტური ადგილების გამოცხადებისა და რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანების, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის ბრძანება №122/ნ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 08 აგვისტოს ოქმი N18-ის N7 საოქმო დადგენილების, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტისა, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის

დეკანის (10/08/2022წ. N889779) სამსახურებრივი ბარათის და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის შალვა ჭკადუას სამსახურებრივი ბარათის (15/08/2022წ; N905969) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში **"განათლების მეცნიერებების" ერთობლივი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის** შიდა მობილობის ვაკანტური ადგილები გამიცხადდეს და რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგი გრაფიკით:

- შიდა მობილობა გამოცხადდეს 1 ვაკანტურ ადგილზე.

ა) შიდა მობილობის პროცესში მონაწილე სტუდენტთათვის განცხადების წარდგენის ვადები განისაზღვროს 2022 წლის 22 აგვისტოდან 2022 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით;
ბ) ფაკულტეტის მიერ შიდა მობილობის დასკვნების უნივერსიტეტის კანცელარიაში წარდგენის ვადები განისაზღვროს 2022 წლის 15 სექტებრიდან 2022 წლის 19 სექტემბრის ჩათვლით;
გ) დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სტუდენტთა შიდა მობილობის შედეგები წარმოადგინოს 2022 წლის 21 სექტემბერის ჩათვლით.

2.სტუდენტის პრიორიტეტულ პროგრამაზე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის შემთხვევაში დაფინანსების მოპოვება განხორციელდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
3.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს;
4.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
5.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საფინანსო სამსახურს;
6.დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს (ნ. კახაშვილს) წინამდებარე ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
7.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი N 41).

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო / უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებები / სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორის მოადგილე
გელდიაშვილი ნუნუ